



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №33

2017 წლის 20 ნოემბერი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის
თავმჯდომარის არჩევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის
პირველი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. არჩეულ იქნეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით ფარული კენჭისყრის საფუძველზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს წევრი - ბადრი ხურცია.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს: საჯარო სამსახურის ბიუროს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერი რუსია